

ამერიკული აღჭურვა და ქართული საბოტაჟი

თანაზ ბოგოტივილი

"რუსთავი 2"
სპეციალურად
"24 საათისათვის"

გასული კვირის ყველაზე გახმაურებულ გამოძიებაში პროგრესია - სამხედრო პროკურატურამ დააკავა ვაზიანის სატანკო ბატალიონის მეთაური მაიორი ვაჟა გუტაშვილი. გამოძიების ამ ეტაპზე, მას ბრალად ედება სამსახურებრივი დაუდევრობა, რადგან დაუშვა ტანკებიდან 13 ტყვიამფრქვევისა და 24 რადიოსადგურის მოხსნა.

ეს პირველი მსხვერპლია იმ დანაშაულისა, რომელიც, ჯერჯერობით, დაუდგენელ დღეს მოხდა და დაუდგენელი რადიოსადგურების ბოროტმოქმედმა ჩაიდინა.

სამხედრო პროკურატურა დღევანდელ შემართებას თუ არ დაკარგავს (როგორც ხშირად მომხდარა), მაიორ გუტაშვილს გვერდით კიდევ სხვებს მიუსვამენ. თუმცა, რა სამხილი ექნებათ მათ ნინალმდეგ, გარდა სამსახურებრივი დაუდევრობის, საყარაულო წესების დარღვევისა და სხვა ამგვარისა, ჯერ არავინ იცის.

გაგრძელება A2 გვერდზე

საქართველოს
თავმჯდომარეობის
პლიუს-მინუსები

A3

ჭორბანაკის ახალი
პოსტი, რომელიც არ
ეკუთვნის

A3

ბენარალი შვარცკოფი
ტაროქისთვის
"ხეხარება"

A5

"აქლემის სტრატეგია"
ქართული "მოგაზავე
ღარიბებისთვის"

A6

რეპრესიების
პროცესების
საპროცესო
საპროცესო

A6

ბათუმის არჩევნებს
წინ უძღვრება
პროკლამაციები

A8

ირლანდიელთა,
ისრაელის პენალტების
დარტყმა

B2

ბლატარი
საბრუნავები

B2

სარ მის ჰაბერი

B4

"ოოო, რა კაიიიიი!"

B4

აზიანი

თბილისი	29	☀
ქუთაისი	28	☀
ბათუმი	24	☀
სოხუმი	26	☀
ფოთი	25	☀
თელავი	27	☀
ფაზდვილი	27	☁
გორი	26	☀

უცხოური ვალუტის
ოფიციალური კურსი
ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.2200
ევრო	2.0943
ფუნტი სტერლინგი	3.2690
რუბლი	0.0706

პოპლა, რვეს ვსნავლობთ!

A2



საპრეს-ოფისი

თავა განსჯისათვის:

"პოსტპეპარდნაძისტული ეპოქა"

ია ანთაძე

"რადიო თავისუფლება"
სპეციალურად
"24 საათისათვის"

ქართულ პოლიტიკურ ინტერიერში ერთხელ უკვე გათამამდა პოსტპეპარდნაძისტული ეპოქის ყველაზე პესიმიზმით (იქნებ, ყველაზე რეალური) სცენარი. ეს მოხდა 1998 წლის 10 თებერვალს, პრეზიდენტზე განხორციელებული ტერაქტის მომდევნო დღეს.

იმ დღეს პოლიტიკურმა ელიტამ დაინახა და იგრძნო, რომ ხელისუფლების სხვადასხვა სეგმენტის გამანაწინასწორებელი ბერკეტი - ედუარდ შევარდნაძის ავტორიტეტი - ქვეყანას შეიძლება მოულოდნელად გამოეცალოს.

იმ დღეს საქართველოს საკუთარი თავის შეშინდა. იმ დღეს პოლიტიკოსებმა პარლამენტში არნახული მუმიტი-კრივი გამართეს - მეთვალყურე მასწავლებლის გარეშე დარჩენილი პირველკლასელი ბიჭების მსგავსად:

ჯერ გიორგი ბარამიძემ და ნოდარ ზაზაძემ გაიწიეს ერთმანეთზე და "მაგარ-მაგარი" სიტყვებით გაცვივლეს; შემდეგ გელა კვაჭანტირაძემ დაარტყა გიორგი კობახიძეს; ბოლოს კი, პარლამენტის ფოიეში, ეროვნულ-დემოკრატიის "დამსჯელმა რაზმმა" დაუნდობელი ქუჩური ჩხუბი მოაწყო.

იმ დღეს, პლენარულ სხდომაზე, ვახტანგ რჩეულიშვილმა ხმაოდ დასვა შეკითხვა, რომელიც დღემდე აქტუალურია: "არსებობს კი პოლიტიკური გუნდი, რომელიც კრიტი-

კულ სიტუაციაში ქვეყანაში სტაბილურობას შეინარჩუნებს და ჩვენი ოჯახების სიმშვიდეს დაცავს?" პარლამენტის მაშინდელმა თავმჯდომარემ, ზურაბ ჟვანია, რჩეულიშვილის შეკითხვას გულწრფელად უპასუხა: "ამას ვერ შეძლებს ვერც მოქალაქეთა კავშირი და ვერც სხვა რომელიმე პოლიტიკური ძალა. ტერაქტი სხვაგვარად რომ დასრულდებოდა, ქვეყანაში დიდი ქაოსი და სისხლისღვრა დაიწყებოდა."

იმ დღეს პარლამენტში მთელი პოლიტიკური სპექტრი ერთხმად ამ-

ტკიცებდა, რომ, პრეზიდენტის განადგურების შემთხვევაში, მართლაც ხანგრძლივი არეულობა დაიწებოდა, ციხეები გაიხსნებოდა, ქუჩებში სროლა დაიწყებოდა და ქვეყანა უკან დაექანებოდა. ამ შეფასებას იზიარებდა ყველა პარტია - სახელისუფლოც და ოპოზიციურიც. იმ დღეს უტყუარად დადასტურდა, რომ საქართველო პოლიტიკური ლიდერის შეცვლისთვის მზად არ იყო.

გაგრძელება A3 გვერდზე

სანეგალი მეოთხედფინალში

B2



ენერგეტიკული თავაზები

მაია ურუაძე

სტრატეგიული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გარდა, ენერგეტიკა ბიზნესის თვალსაზრისითაც ყველაზე რენტაბელური დარგია. ეს განაპირობებს მძლავრი მსოფლიო მავნატების პერმანენტულ დაინტერესებას, რადგან მათი ფინანსური პირამიდების სიმყარეს მნიშვნელოვნად განაპირობებს სხვადასხვა

ქვეყნების, მათ შორის, საქართველოს ენერგორესურსებიდან მიღებული შემოსავალი.

გაზეთი "24 საათი" პერიოდულად შემოგთავაზებთ პუბლიკაციებს საქართველოს ენერგეტიკაში გახორციელებული ინვესტიციებისა და კრედიტების მიზნობრივი ხარჯვის შესახებ.

გაგრძელება A4 გვერდზე

დაბრუნება

„სიკვდილმისტიკა საკნიდან..“

იმი სპარლინი

ადამიანის უფლებების დამცველი ამერიკელი ეიმი სპარლინი, მთელი წლის მანძილზე, თვალსადავრებდა "რუსთაველ მანიაკად" გამოცხადებული პაატა სხირტლაძის ისტორიას. მთელი ამ ხნის განმავლობაში მან ვერ შეძლო ტუსათან და ვერც ფსიქიატრიულ კლინიკაში, ეიმი სპარლინი პაატა სხირტლაძეს,

პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ, თბილისის ტუბდისპანსერში შეხვდა.


გთავაზობთ ამერიკელი ექსპერტის წერილს, რომელიც მან სპეციალურად გაზეთი "24 საათისთვის" მოამზადა. ამერიკაში დაბრუნების შემდეგ იგი მოძალადე ქართველ სამართალდამცველებზე და მათ უდანაშაულო მსხვერპლებზე სქელტანიანი წიგნის გამოცემას აპირებს.

გაგრძელება A7 გვერდზე

www.24hours.ge

24

B



სენეგალი მეოთხედფინალშია

REUTERS

საფრანგეთის ღირსების დამცველები

შვედეთი

მწვრთნელი: ლარს ლაგერბაკი

შეცვლა: ალბაკი - ა. ანდერსონი 85', ალექსანდერსონი - იბრაჰიმოვიჩი 77', მ. სვენსონი - იონსონი 100'

განლაგება: 4-4-2

მარვედფინალი. შვედეთი 1:2 სანაბალი (დაზაბაბით დროში)

სანაბალი

მწვრთნელი: ბრუნო მესუ

შეცვლა: პ.ბ. დიუპი - ბეიე 88'

განლაგება: 4-4-2



ირლანდიალი, ისრაელი პენალტების დარტყმა!

ისრაელი

მწვრთნელი: ხოსე ანტონიო კამარო

შეცვლა: დე პედრო - მენდიეტა 88', მორიენტესი - ალბელა 72', რაული - ლუკა 80'

განლაგება: 4-4-2

მარვედფინალი. ისრაელი 4:3 (1:1) ირლანდია

ირლანდია

მწვრთნელი: მიკ მაკარტი

შეცვლა: სტანგონი - კინანე 50', კელი - ქუინი 55', პარტი - კონოლი 82'

განლაგება: 4-4-2

გოლები: 1:0 ლარსონი (11), 1:1, 1:2 ა. კამარა (37, 104)

მსაჯი: უბალდო აკინა (პარაგვაი)

სტადიონი: "ოიტა" 37000 მაყურებელი

ელ-ჰაჯი დიუფი ამბობდა, შვედებს ადვილად გაუფრთხილებოდათ, ეგვიპტე მომგები არ არის. შვედი მეკარე ჰედმანი დიუფს თავმჯდომარეებს მოუწოდებდა, მაგრამ, როგორც გაირკვა, სენეგალელს ეთქმობა და თქვა კიდევ. შვედებთან გამარჯვება სენეგალელ მამანებს უნინასნარ-მეტყველებიათ. აბა, წინ რაღა დაუდგებოდა გაკანდინირებულ დიუფს. იგი იმასაც ამბობდა, საფრანგეთის ღირსების დაცვით. იქნებ შამანის ხელი აქაც ურევია და საფრანგეთის ნაკრების მიელი ღირსება სენეგალის გუნდს გადაეცა.

ფაქტი ის არის, რომ სენეგალის ნაკრებმა ბევრი იბრძოლა, გოლიც არ ჩაუთვალეს და მაინც მოიგო. ახლა აფრიკელებს მად გაეხსენებათ, მით უფრო, რომ მეოთხედფინალში მათი მეტოქე იაპონია-თურქეთს შორის გამარჯვებული იქნება და, ვინ იცის, იქნებ შამანმა საფრანგეთის ღირსების დამცველი აფრიკისთვის მანამდე არახული წარმატება უძღვნას. თანაც, ბრუნო მესიუს თუ დიუფერებო, მას იაპონიასთან თამაში ურჩევნია.

ლარს ლაგერბაკი (შვედეთის ნაკრების მწვრთნელი): "საშინელ სიტუაციულ ვერსიებზე მეორე ტაიმში ბევრი საკვლე მომენტი გავფრთხილდით და ამიტომ იმედგაცრუება ძალიან დიდია. ეს ყველაფერი მწარა, მაგრამ სამშობლოში თავაწეული გრუნდებით. ვერაფერ უარყოფს იმას, რომ ინგლისთან, ნიგერთან და არგენტინასთან ღირსეული თამაში "სიკდილის ჯგუფიდან" გავიდით".

ბრუნო მესიუ (სენეგალის ნაკრების მწვრთნელი): "ყველანი ბედნიერები ვართ. ძალიან გაგვიჭირდა, მაგრამ მიჭებს დღეს უხაროდათ ფეხბურთის თამაში. ისინი ამით უდიდეს სიამოვნებას იღებდნენ. სხვა გუნდებისგან სწორედ ამით განვსხვავდებით. დღევანდელი წაგება შვედებისთვის კომპარია. მე ამას მათთან ერთად განვიცდი. რასაკვირველია, მეოთხედფინალშიც ძალიან გაგვიჭირდება. კარგი იქნება, თუ იაპონიას შევხვდებით. ეს ჩვენზე დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს".

გოლები: 1:0 მორიენტესი (8), 1:1 რობი კინი (90, პენ)

პენალტების სერია: ესპანეთი - იერო, ბარაბა, მენდიეტა. ირლანდია - რობი კინი, ფინანი.

მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი)

სტადიონი: სუვონი 38926 მაყურებელი

ეს იყო ყველაზე დრამატული მატჩი მსოფლიო ჩემპიონატზე. ესპანელებს კინადამ ძვირად დაუჯდათ კამაროს ტაქტიკური შეცდომები, რომელმაც მატჩის მსვლელობის ორი საუკეთესო ფორვარდი, რაული და მორიენტესი შეცვალა. მაგრამ, როგორც ამბობენ, კინადამ არ ითვლება, და ესპანელები მომდევნო ეტაპზე გავიდნენ.

თამაშის წინ მიკ მაკარტი ამბობდა, რომ, თუ ესპანეთი ირლანდიას დაამარცხებს, მსოფლიო ჩემპიონი გახდება. ამ სიტყვების რა მოგახსენოთ, მაგრამ იან ჰარტი უფრო ზუსტი რომ ყოფილიყო, ირლანდია მეოთხედფინალში ითამაშებდა. ბრიტანელებმა საერთო ჯამში ოთხი პენალტი გააფუჭეს. ამთავან კასილასმა სამი აიღო. ასეთ საჩუქარს ბევრი გუნდი ინატრებდა. ესპანეთის ნაკრები მეოთხედფინალში გავიდა, სადაც არანაკლებ დრამატული მატჩი ელის სამხრეთ კორეა-იტალიას შორის გამარჯვებულთან.

ხოსე ანტონიო კამარო (ესპანეთის ნაკრების მწვრთნელი): "დღეს მსაჯი ჩვენს მხარეზე ამკარად არ იყო. მეორე პენალტს ნამდვილად არ ვიმსახურებდით. მოგება ძირითად დროშიც შეგვეძლო. მეოთხედფინალში ვის შევხვდებით, შინგუნლობა არ აქვს. ნებისმიერ შემთხვევაში რთული მატჩი გველის. იტალიელებს დიდი გამოცდილება აქვთ. სამხრეთ კორეას კი გულშემატკივართა დიდი მხარდაჭერა".

მიკ მაკარტი (ირლანდიის ნაკრების მწვრთნელი): "ჩემი გუნდით ძალიან ვამაყობ. დღეს მათ დიდი ფეხბურთით ითამაშეს. მეოთხედფინალში გასვლას ჩვენც ვიმსახურებდით. ვერ ცერეთ ფეხბურთელს ვერ გავამტყუნებ. მათ გამარჯვებისთვის ყველაფერი ილენეს. ყველაფრის მიუხედავად წლებიანდელი მსოფლიო ჩემპიონატი ჩვენთვის წარმატებული გამოდგა".



ინგლისალთა განცდები

მერვედფინალში დანიელთა ნინალმდე მოპოვებულმა შთამბეჭდავმა გამარჯვებამ ინგლისში დიდი აფორტაჟი გამოიწვია. გულშემატკივრებმა ნისლიანი ალბონის თითქმის ყველა ქალაქში დიდი ზემოთ აღნიშნეს გამარჯვება. სტოუნს ონ ტრენტში, რომელიც ლონდონის ჩრდილოეთით, 230 კილომეტრზე მდებარეობს, ფანებმა მოაწყვეს ხმაურიანი დღესასწაული, რომელიც მასობრივი არეულობით დასრულდა. დაშვებული ორი ადამიანი პოსპიტალში გადაიყვანეს, მაგრამ მალე გაირკვა, რომ დაზიანება სერიოზული არ იყო და ფანების ჯანმრთელობას არაფერი ემუქრებოდა.

ეიფორიაში არიან ფეხბურთელები და მწვრთნელებიც. დევიდ ბექჰემი მეოთხედფინალში ბრაზილიასთან შეხვედრაზე ოცნებობს და სურს, შური იძიოს 1970 წლის მეოთხედფინალისთვის, როცა ბრაზილიელებმა, პელეს მეთაურობით, ინგლისელები მუნდიალს გამოთოქეს.

ფეხბურთელებს ამხნევებს და გამარჯვებისკენ მოუწოდებს ინგლისის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლეირიც, რომელმაც "გამეტა დელო სპორტისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ კმაყოფილია ინგლისის ნაკრების თამაშით და იმედი აქვს, რომ გუნდი უფრო შორს წავა.

წარმატების იმედი სვენ გორან ერიქსონსაც აქვს. შვედ მწვრთნელს მხოლოდ ერთი პრობლემა აწუხებს - არ სურს, რომ მისმა თანამემხმემ, ინგლისური "მიდლსბროს" თავკაცმა სტივ მაკლარენმა მუნდიალის შემდეგ ნაკრები დატოვოს. ერიქსონი ამბობს, რომ მას გაუჭირდება მაკლარენის მსგავსი პროფესიონალი თანამემხმის პოვნა. სტივ მაკლარენი თავის დროზე "მანჩესტერ იუნაიტედში" მუშაობდა და ალექს ფერგიუსონს ეხმარებოდა. ამჟამად ის "მიდლსბროს" წვრთნის და, როგორც თავად აცხადებს, თავისი საკლუბო კარიერისთვის უფრო მეტი ყურადღების მიქცევა უნდა.

დასჯიან ჟოაკ პინტუს?

ჯერაც არ ჩამცხარა მღელვარება პორტუგალია-სამხრეთ კორეის სკანდალურ მატჩზე, რომელიც პორტუგალიელებმა ცხრა კაცით ჩამათავრეს და მუნდიალს სამარცხივინოდ გამოეთიშნენ.

ამ შეხვედრის ერთ-ერთი ანტიგმირი გახდა პორტუგალიელი ჟოაკ პინტუ, რომელმაც უხეშობისთვის წითელი ბარათი მიიღო და გუნდი რიკინობრივ უმცირესობაში დატოვა. ჟოაკ პინტუსთვის ეს ინციდენტი, შესაძლოა, ძალიან ცუდად დათავრდეს, რადგან არგენტინელი მსაჯი, ანელე სანჩესი ფეხბურთელს ფიფაში უფიფის დაამტკიცებს, რომ ჟოაკ პინტუმ მას ფიფაში შეურაცხყოფა მიყენა. "როცა წითელი ბარათი ვუწყებენ, ჟოაკ პინტუმ

მარადონა - ნაქრებში

არგენტინის ნაკრებმა, რომელსაც მუნდიალის დანებებამდე ყველა ერთ-ერთ უპირობო ფაქტორად მინიჭებდა, ჯგუფურ ეტაპზევე ისეთი დივიზიონი განიცხადა, რომ გულშემატკივარი გაოგნებული დატოვა. ვარსკვლავებით დაკომპლექტებული გუნდი მრვედფინალშიც კი ვერ გავიდა, ჩემპიონის ტიტულის მოპოვებას ვინ ჩივის.

"გაუჩოთა" ასეთი წარუმატებლობა მრავალი მიზეზით შეიძლება ახსნას. ერთ-ერთი მათგანი არგენტინელთა თავკაცის, მარსელო ბიელასას მიერ დაშვებული შეცდომებია. ბიელასა დადევნების საკითხი, რა თქმა უნდა, აქტიურად დგას დღის წიგნაკში, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ ამ თემაზე ოფიციალურად არ ყოფილა საუბარი.

ბიელასა მემკვიდრედ პრესა არგენტინული ფეხბურთის ყველაზე ცნობილ და ყველაზე სკანდალურ პიროვნებას ასახელებს - როგორც

ბელგიელთა პრობლემები

ბელგიის ნაკრებს, რომელიც მერვედფინალში ბრაზილიას ხვდება, შესაძლოა, ტრავმის გამო გუნდზე ბუკი დაეკლდეს. "ანდერლახტის" 30 წლის ფეხბურთელი ტკივილის გამო ვარჯიშის დამთავრებაც კი ვერ შეძლო.

სამაგიეროდ, გუნდს უბრუნდება მბო მენენა, რომელმაც რუსეთთან მატჩში ტრავმა მიიღო და არაფერი იცოდა, შეძლებდა თუ არა ბრაზილიასთან თამაშს.

ბლატარი საბონეალებია

ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი დიღმის წინაშე დგას. წლებიანდელი მუნდიალი, რომელიც ერთდროულად ორ ქვეყანაში ტარდება, შესაძლოა, ტრადიციულიც კი გახდეს, რაც შედარებით ნაკლებად მდიდარ ქვეყნებს ჩემპიონატის მასპინძლობის შანსს აძლევს. ბლატერმა აღარ იცის, როგორ მოექცეს - მისთვის თუ არა 2010 წლის ჩემპიონატის ჩატარების უფლება ორ ქვეყანას.

მოუხედავად იმისა, რომ ექსპერიმენტმა ვაიმარო და კორეას და იაპონიაში ჩემპიონატი შესანიშნავად

კარლონი ფილოსოფოსი

ბრაზილიის ნაკრების და მადრიდის "რეალის" მცველმა რობერტო კარლოსმა განაცხადა, რომ ამ ჩემპიონატისგან რაღაც ახალს ვლოდებოდა. "რა თქმა უნდა, გული მწყდება, რომ ასპარეზობას ამდენი კარგი გუნდი გამოაკლდა და მუნდიალი ფაქტობრივად ერთი ნაწილის გარეშე დარჩა, მაგრამ მიმანია, რომ ეს, შესაძლოა, სასიკეთოც კი იყოს. ამ ჩემპიონატზე რაღაც ახალი და მოულოდნელი მოხდება - ეს უკვე ცხადია. სიურპრიზებს ყოველდღე უნდა ველოდოთ. არგენტინის, საფრანგეთის და პორტუგალიის ნაკრებებში ძალიან კარგი ფეხბურთელები თამაშობენ, მაგრამ წინ მხოლოდ ის მიდის, ვინც იმარჯვებს", - ამბობს რობერტო კარლოსი.

